ავტონომიური რეჟიმიში მუშაობისას შესალებელია დღის ფინანსური ანგარიშის (დაფარვით–Z–ანგარიშის), დღის ანგარიშის (დაფარვის გარეშე–X–ანგარიშის), FP-700–ის დიაგნოსტიკური ინფორმაციის, ფისკალური ანგარიშის (თარიღების ან ცვლის ნომრის მიხედვით), ოპერატორის მიხედვით ანგარიშების,ელექტრონულ ჟურნალში შენახული ჩეკების ასლების ამობეჭდვა, თარიღის და დროის შეცვლა, ჩეკის დახურვა და გაუქმება.

ავტონომურ რეჟიმში ხელმისაწვდომიფუნქციების შერჩევა შესაძლებელია ღილაკების მეშვეობით ან მომდევო მენიუდან (ხელმისაწვდომია ღილაკზე [BACK] დაჭერით):

1) დიაგნოსტიკა
2) Z-ები თარიღით
3) Z-ები ნომრით
4) ქვითრების ასლები
5) არქივი
6) თარიღი და დრო
7) ქვითრის დახურვა
8) ქვითრის გაუქმება
9) კონტროლი
10) ტესტი SAM

## Z -ანგარიშის - ყოველდღიური ანგარიშის ამობეჭდვა დახურვით

1.დააჭირეთ ღილაკს [▼]

2.დააჭირეთ ღილაკს [BACK]

3.დაადასტურეთ ღილაკზე [FEED ENTER] დაჭერით

## X-ანგარიშის - ყოველდღიური ანგარიშის ამობეჭდვა დახურვის გარეშე

1.დააჭირეთ ღილაკს [▲]

2.დააჭირეთ ღილაკს [BACK]

3. დეტალური ანგარიშის დასაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს [BACK]

4. დააჭირეთ ღილაკს [FEED ENTER]

## ბოლო ორი ქვითრის ასლების ბეჭდვა

1.დააჭირეთ ღილაკს [BACK]

2.სამჯერ დააჭირეთ ღილაკს [▲]

3.დაადასტურეთ ღილაკზე [FEED ENTER] დაჭერით

## საკონტროლო შესყიდვა

1. დააჭირეთ ღილაკს [BACK]

2. რვაჯერ დააჭირეთ ღილაკს [▲] ან დააჭირეთ ღილაკს ორჯერ [▲]

3. დაადასტურეთ ღილაკზე [FEED ENTER] დაჭერით, დაიბეჭდება 0,01 თეთრიანი ქვითარი

4. გამოდით მენიუდან ღილაკზე [⏻] დაჭერით

# კასა ჯი

www.kasa.ge

# სალარო აპარატი

## ფისკალური პრინტერი FP-700



ცხელი ხაზი (032) 2 42 45 45

ტელ: 599 36 22 88; 577 11 40 41; 574 81 88 11
მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 77

## კონტროლის პანელის სქემა:

FP-700 –ის კონტროლის პანელზე განლაგებულია ეკრანი და ფუნქციის არჩევის და მოწყობილობის მართვის ღილაკები ავტონომური მუშაობის დროს.

## ეკრანი FP-700

FP-700–ის ეკრანზე, რომელიც განლაგებულია კონტროლის პანელზე, იწერება:
13-08-2015 17:46 - მიმდინარე თარიღი და დრო

 - სიგნალის დონე

 - სიგნალი არ არის

 - აქტიური ინტერფეისი - USB

თუ ეკრანზე არ არის გამოსახულება და  , მაშინ აქტიური ინტერფეისია - RS232.
FP-700–ის მდგომარეობა იწერება ეკრანზე შესაბამისი ტექსტური შეტყობინებით:
სამუშაო მდგომარეობა – FP-700 მზად არის ბრძანებების მისაღებად და შესასრულებლად.
ავტონომური ოპერაციების განხორციელება –- შერჩევა ხდება მთავარი მენიუდან.
შეცდომის მდგომარეობა – იწერება წარმოშობილი შეცდომა:

| ღილაკი | ფუნქცია |
|---|---|
| ⏻ | - გამოიყენება FP-700–ის ჩართვისა და გამორთვისათვის<br>- მენიუდან გასვლა |
| FEED ENTER | - თუ მენიუ არ არის შერჩეული და FP-700 სამუშაო მდგომარეობაშია, ამ ღილაკის დაჭერა გამოიწვევს ლენტის გაწელვას.<br>- თუ მენიუ შერჩეულია, ამ ღილაკის დაჭერით ხდება არჩეული ოპერაციის შესრულება ან შესაბამისი ქვემენიუზე გადასვლა |
| BACK | - თუ მენიუ არ არის შერჩეული და FP-700 სამუშაო მდგომარეობაშია, ამ ღილაკის დაჭერის შემდეგ გამოჩნდება მენიუ<br>- თუ შერჩეულია მენიუს პარამეტრი შესაძლო მნიშვნელობებით „კი“/“არა“,ამ ღილაკის დაჭერა გამოიწვევს პარამეტრის მნიშვნელობის შეცვლას („კი” შეიცვლება ”არა”– ზე და პირიქით).<br>- თუ შერჩეულია მენიუს პარამეტრი, რომელიც სიმბოლურ ველს წარმოადგენს, ამ ღილაკის დაჭერით მოხდება წინა სიმბოლოზე დაბრუნება. |
| FWD | - თუ შერჩეულია მენიუს პარამეტრი შესაძლო მნიშვნელობებით „კი“/“არა“,ამ ღილაკის დაჭერა გამოიწვევს პარამეტრის მნიშვნელობის შეცვლას („კი” შეიცვლება ”არა”– ზე და პირიქით).<br>- თუ შერჩეულია მენიუს პარამეტრი, რომელიც სიმბოლურ ველს წარმოადგენს, ამ ღილაკის დაჭერით მოხდება მომდევნო სიმბოლოზე გადასვლა |
| ▼ | - თუ მენიუ არ არის შერჩეული და FP-700 სამუშაო მდგომარეობაშია, ამ ღილაკის დაჭერით მოხდება Z-ანგარიშის ამობეჭდვა.<br>- თუ მენიუ შერჩეულია, ამ ღილაკის დაჭერით მოხდება მენიუს მომდევნო პუნქტზე გადასვლა.<br>- თუ შერჩეულია მენიუს პარამეტრი, ამ ღილაკის დაჭერა გამოიწვევს პარამეტრის მნიშვნელობის შემცირება ერთი ერთეულით. |
| ▲ | - თუ მენიუ არ არის შერჩეული და FP-700 სამუშაო მდგომარეობაშია, ამ ღილაკის დაჭერაით ამოიბეჭდება –ანგარიში ცვლის მიხედვით<br>- თუ მენიუ შერჩეულია, ამ ღილაკის დაჭერით ხდება მენიუს წინა პუქნტზე გადასვლა.<br>- თუ შერჩეულია მენიუს პარამეტრი, ამ ღილაკის დაჭერით ხდება პარამეტრის მნიშვნელობის გაზრდა ერთი ერთეულით. |

## 1. მუშაობა სისტემაში

FP-700–ის სისტემაში მუშაობისათვის საჭიროა კომპიუტერთან, პლანშეტთან, ტელეფონთან ან სხვა მოწყობილობასთან დაკავშირება USB, RS232. FP-700 ასრულებს მიერთებულ მოწყობილობაზე ინსტალირებული სამომხმარებლო პროგრამის მიერ გადაცემულ ბრძანებებს(ბრძანების დაწვრილებითი აღწერა იხილეთ ქვემოთ)

## 2. მუშაობის ავტონომური რეჟიმი

ეს ისეთი სამუშაო რეჟიმია, რომლის დროსაც FP-700 ასრულებს ოპერაციებს მართვის სისტემასთან დაკავშირების და სამომხმარებლო პროგრამის მიერ ბრძანებების მიცემის გარეშე.
FP-700 ასრულებს ავტონომურ ოპერაციებს მხოლოდ მაშინ , როცა არ არის ღია ჩეკები (ფისკალური ან არაფისკალური) და არ ხორციელდება სისტემით გადაცემული რაიმე სახის ბრძანებები.